საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

სამშაბათი ივნისის 28

1921 წ

№ 96

ფასი 300 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელქისედეკ ბესარიონის ძე ბაქრაძე აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შვიდი დღის პანაშვიდი საყვარელი მეუღლის ტრაგიკულად გარდაცვალებულის

**თამარ რევაზის ასულ ბაქრაძის**

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება ივნისის 29 ს, საღამოს 7 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე 1084

---

კვირას, ივლისის 3 დილის 11 საათზე, სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის სახლში (ყოფილი ქართული კლუბის შენობა დამფუძნებელი კრების ქ. № 5) დანიშნულია

**წ.-კითხ. გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება**

განსახილველი საგნები:

1. გამგეობის მოქმედების 1920 წ. ანგარიში, 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ, 3. 1921 წ. შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა, 4. მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. 1082

## ხელ-ახალი რეგისტრაცია.

**სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტის დადგენილების თანახმად, მთელ საქართველოში უნდა მოხდეს წევრთა ხელ-ახალი რეგისტრაცია.**

**ტფილისში რეგისტრაცია იწყება ივნისის 27-ს და დასრულდება ივლისის 1-ს. ამ ვადაში ყოველი წევრი ვალდებულია გამოცხადდეს სარეგისტრაციოდ თავის უბანში, ქვემოდ დასახელებულ პირთან. (წარდგენილ უნდა იქნეს ძველი პარტიული ბილეთი და შევსებული სარეგისტრაციო ბარათი, ამ ბარათების მიხედვით დაურიგდება წევრებს ახალი ბილეთები).**

ჩაწერა შეიძლება:

1. „ს.-ფ." რედაქციაში—სერ. ამაღლობელთან დილის 9—2-მდე.
2. პარტიის ცენტრალურ ბიუროში—საღამოს 7—10-მდე.
3. ბაზრის უბანში—აგრაფინა იაშვილთან 2—6-მდე (ახალი ბებუთოვის, № 6).
4. მეორე უბანში (მთაწმინდით)—ვანო დუშურაშვილთან საღამოს 5—8-მდე (ფეოდესიევის ქ. № 44).
5. ვერის უბანში—პარტიულ ბიუროში საღამოს 6—8-მდე. (ოლღას ქ. № 20).
6. ჩუღურეთში—დავ. მელაშვილთან საღამოს 5—7-მდე (ამატუნის ქ. № 21).
7. რკინის-გზის მთავარ სახელოსნოში—გიორგი სოლოღაშვილთან, სახარატო ცეხში დილის 8—2-მდე.
8. ავლაბარში—პარტიულ ბიუროში საღამოს 6—8-მდე (კახეთის მოედანი № 5).
9. ნაძალადევში—გიორგი სოლოღაშვილთან, საღ. 4—6-მდე. (სელეტოვის ქ. № 220).

დანარჩენი უბნებისათვის გამოცხადდება ცალკე.

**საგანგებო საორგანიზაციო სამეული.**

---

## ფელეტონი

48

**კიდევ ლტოლვილები.**

ამ ბოლო დროს ქართული გაზ. „კომუნისტი" განსაკუთრებული ყურადღებით გვიმასპინძლდება. პრესას ბრძოლა ასულდგმულებს, პრესის ბრძოლა ხალხს აცოცხლებს, პრესის სიცხოველე—საკითხებს არკვევს.

ასეთია პრესა—ყველასათვის საჭიროა მისი სიმკვირცხლე, მაგრამ ბრძოლის და საზოგადოებრიობის ეს ჭაბასრი იარაღი მეტად სათუთია ამავე დროს, ნაზი, მგრძნობიარე, ტლანქი ხელით ვერ შევქმნით პრესის ხაზებს, გაუწრთვნელ გონებით პრესას ჟუსკრულში გადავისვრით, შებღალულ გრძნობით წავწყმედთ წითელს ქვეყანას.

აი ასეთი ჰანგებით დაგვაწყებია ეს წერილი გაზ. „კომუნისტში" მოთავსებულმა წერილმა—„საქართველო საქართველოსთვის", საქმე ეხება ლტოლვილთა და იმიგრანტთა საკითხს.

დღეს ეს საკითხი ერთი მეტად საჭირბოროტო საკითხია ჩვენი ცხოვრებისათვის. ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა მეტად საჭიროებს ამ საკითხის საზრიან გადაწყვეტას და უნდა აღვნუსხოთ „კომუნისტის" პოზიცია ამ შემთხვევაში არა თუ არ უძლებს საზოგადოდ ელემენტარულ კრიტიკას, იგი მეტად მავნებელია თავისთავად და სამუდამოდ უნდა ჩავადრჩოთ იმ კალმის წვერში, რომელმაც იგი გამოხატა.

„კომუნისტის" ზოგიერთს თანამშრომლებს მეტად მარტივი წარმოდგენა აქვთ საქმეებზე.

ერთგვარ საზოგადოებაში ცნობილია: სოციალისტ-ფედერალისტი ამავე დროს ნაციონალისტია; გინდა დაამტკიცო ინტერნაციონალისტობა?—უნდა სთქვათ გაზ. „სოც.-ფედერალისტის" საწინააღმდეგო!—მორჩა და გათავდა, საკითხიც გარკვეულია!

აქ მოიქცა გაზეთი შაბათის ნომრით. ჩვენ ვიცავთ რესპუბლიკებს ზედმეტი ელემენტებისაგან, არსებითად პარაზიტებისაგან—„კომუნისტი" კი გადმომდგარა და გვეუბნება—საქართველოს კარები ყველასათვის ღია უნდა იყოს, ისე, როგორც ქართველებისათვის ყველა სახელმწიფოს კარებია ღიაო!

ჩვენ შეგვეძლო არავითარი ყურადღება არ მიგვექცია ასეთი მარტივი აზრისათვის, მაგრამ ამას ამბობს „კომუნისტი", ამბობს მოწინავე, ამბობს კომპარტიის და რევკომის ცენტრალური გაზეთი და აშკარაა—ყურადღება უნდა მიექცეს.

გაზ. „კომუნისტი" პასუხისმგებელი ორგანიზაციის ორგანოა. აქ არც დემაგოგიაა საჭირო, არც ყალთაბანდობა არც სოფისტიკა. ასეთს გაზეთში წერილებს საკანონმდებლო შემოქმედების ძალი უნდა ჰქონდეს, სიმწიფე, სიფრთხილე, სერიოზობა.

განა ერთი წუთით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენთვის ეხლა სახელმწიფოების კარები ღია არის და თავისუფლად შეგვიძლია მოძრაობა?—ეს ხომ სიყალბეა?

ვეკითხებით „კომუნისტს": რუსეთის საზღვრები გახსნილია ყველასათვის და ემიგრაციისათვის?—რასაკვირველია, არ არის გახსნილი და ეს იმიტომ კი არ არის, რომ რუსეთი საზოგადოდ წინააღმდეგი იყოს თავისუფალი მოძრაობისა, არა იმიტომ, რომ რუსეთში კაცობრიობა ნაციონალისტობაა, არა, მხოლოდ იმისთვის, რომ დღეს არსად არ არსებობს თავისუფალი მიმოსვლა და საერთო მდგომარეობა მოითხოვს აკრძალვას ასეთ მოძრაობას. არა თუ ჯგუფობრივი გადაბარგება რუსეთში პიროვნული მისვლა-მოსვლაც შეზღუდულია თუ ეს არ ხდება საზოგადოებრივი საქმისათვის. დღეს ეს პოლიტიკა ერთად ერთი სწორი პოლიტიკაა და პირდაპირ სასაცილოა, რომ მადა გახსნილი ინტერნაციონალისტი გაზ. „კომუნისტში" თავის ერთგულებაში ნიადაგს აცლის თვით ინტერნაციონალურ პოლიტიკას.

— არ არის, მოქალაქენო, ინტერნაციონალისტობის დასამტკიცებლად საკმაო მხოლოდ ის, რომ ყოველ ჩვენს დებულებას წინააღმდეგობას გაუწევთ.

შემდეგ „კომუნისტი" სწერს—იმიგრაცია ხდება მუშახელის სიჭარბისა და სიმცირის გამო. თურმე სომხეთში ბევრი ყოფილა მუშა, ჩვენში კი მუშა ხელის სიმცირეა! ამას ამბობს გაზეთი საზოგადოდ და კერძოთ.

აქ ავტორი იჩენს საარაკო სიბეცეს და ვხედავთ, რომ მოწინავეს დამწერს არავითარი წარმოდგენა არ აქვს საგანზე.

მაგრამ ჩვენ ვკითხულობთ: თუ ჩვენთვის მუშებია საჭირო, გვიპასუხეთ პირდაპირ, რომელმა უწყებამ გამოიწერა მუშები სომხეთიდან? და თუ მართლა არის ჩვენში უწყება სომხეთიდან მუშების გამომწერი, მაშინ გვითხარით პირდაპირ, რომელია ის უწყება, რომელიც მუშებს იწერს და მუშების მაგიერ იღებს მეთხოვრებს, მაწანწალებს, ძუძუმწოვარა ბავშვებს, ავადმყოფ ქალებს, რომელნიც იმის მაგიერ, რომ სამუშაოზე გამოცხადდნენ გამოდიან რუსთაველის პროსპექტზე და სამოთხოვროდ სდგანან ხელგამოწვდილნი.

შემდეგ ზედაპირია ის აზრი, თითქოს სომხეთში მეტი იყოს მუშა ხელი, პირიქით, სომხეთი მუშის სიმცირით იტანჯება და მაგალითიც იყო: რკინის გზის მართველობა საქართველოს სთხოვდა მუშაკთა ძალებს.

„კომუნისტი"-ს საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენ, ს.-ფედერალისტები სრულებით არა ვართ არა ქართველის ჩვენში შემოსვლის წინააღმდეგი. პირიქით, ჩვენ ბევრი მუშაობა გვჭირია გამოცდილი მუშების და სპეციალისტების შემოყვანისათვის, უცხო კაპიტალის ასამოძრავებლად, მაგრამ ის, რაც ეხლა ხდება ჩვენში ამაში სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ნატამალიც არ არის, ეს არის ნამდვილი ანარქია, რომელიც მავნებელია თვით ლტოლვილებისათვის, მავნებელია, როგორც გამომგზავნ, ისე მიმღებ სახელმწიფოსათვის.

დღევანდელს პირობებში, როცა რეგულიარული პირობები არ არის, როცა ანტანტა არღვევს და შლის საბჭოთა რესპუბლიკებს, ასეთს პირობებში ყოვლად დაუშვებელია ხალხის ქაოტიური მოძრაობა; აქ ყველა თავის ალაგას უნდა იყოს, თავის სადარაჯოზე, თვითეული ნაბიჯი მოფიქრებული და ნაგულისხმევი.

ეს ასეა საზოგადოდ, მაგრამ არის ცენტრები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ჩვენში ერთი ასეთი ცენტრი ტფილისია. ტფილისს განსაკუთრებით სჭირია მოვლა. შეუძლებელია ქალაქის ხელოვნური გამრავლება უბრალო, უგეგმო, სახელმწიფოებრიობის გარეშე იმიგრაციით. ეს დებულება სოციალისტ-ფედერალისტური ან კომუნისტური კი არ არის, ეს ერთად ერთი სადი სახელმწიფოებრივი დებულებაა და გვაკვირვებს სახელმწიფოებრივ ინტერესებს რად ვერ აქცევს ყურადღებას გაზ. „კომუნისტი".

ცოტა რამ ისტორიიდანაც უნდა მოვაგონოთ გაზ. „კომუნისტს". ესეც საჭიროა. სომხეთში მცხოვრებთა უმრავლესობა სომხობა ოსმალეთის ყოფილი მოქალაქეებია, ესე იგი ლტოლვილებიდან შემდგარი, ამათ ძალიან უყვართ საზოგადოდ ძიება უკეთესი მხარისა. ოსმალეთის წინააღმდეგ რუსების გამარჯვებამ 1828—9 წლებში შედეგად მოგვცა ტფილისელებს მრავალი სომეხი ლტოლვილი, 78 წლის ომის შემდეგ მრავალ ლტოლვილს მივიღეთ. პავლე ციციშვილიდან დაწყებული ვორონცოვ-დაშკოვამდე ესევე პოლიტიკა ვითარდებოდა. დღეს არსებითად ხდება იგივე პროცესი. აქ არაფერი კომუნისტური არ არის და ის რაც ხდება არ არის შედეგი მთავრობის კომუნისტური პოლიტიკისა.

ვორონცოვების პოლიტიკამ მოგვიტანა მცხოვრებთა უაზრო აღრევა და მათ შორის ნაციონალიზმი, შემდეგ [illegible]. ვორონცოვების ამ პოლიტიკას ლიკვიდაცია უნდა უყოთ და ხალხის ხელოვნური აღრევა მივსპოთ. ეს ერთად ერთი სადი სოციალისტური პოლიტიკაა და ამ გზას კომუნისტური მთავრობა კატეგორიულად უნდა დაადგეს.

მე აღარ ვიმეორებ მოტივებს: სიმშილს, სნეულებას, ბინის სიმცირეს, მიწის სივიწროვეს. კომპლექსი ამ პირობათა უნდა დაიცვას თვითონ მთავრობამ თუ მას სურს იყოს მტკიცე, თუ მას არ სურს გაჭირვებაში თავის ჩაგდება.

ასეთს საკითხებში მაინც დემაგოგიას არ უნდა მივმართოთ, სადემაგოგიო აქ არაფერია, საკითხი ჩამაფიქრებელი, რთული, დიდი სახელმწიფოებრივი ხასიათისაა და სახელმწიფო მოვალეობის აღსრულების რისაც ვამბობთ.

**თედო ღლონტი.**

---

## პრესის მაგიერ.

აღმოსავლეთ საქართველოს აუარებელი უცხო ხალხი შემოესია ლტოლვილების სახით, იჭერენ ჩვენ მიწა-წყალს, სახლდებიან ზედ და ისედაც მეტად მძიმე ეკონომიურ პირობებს პირდაპირ აუტანელს ხდიან. ეს აღნიშნა თ. ღლონტმა ერთ ერთ თავის წერილში (იხ. „სოც. ფედერალისტის" № 98) და მოითხოვდა, რომ მთავრობამ შესაფერი ზომები მიიღოს ამ სახიფათო მოვლენის წინააღმდეგ.

თითქოს აქ საკამათო არაფერია: აღებულია სინამდვილიდან მეტად ცუდი შედეგის მომასწავებელი ერთი ფაქტი და მოთხოვნილია მის საწინააღმდეგო ზომების მიღება. სხვანაირი გამოხმაურება პრესისა ამ შემთხვევაში ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია.

მაგრამ ასე არ მსჯელობს გაზ. „კომუნისტი" მას ყველგან ნაციონალისტები ელანდება. ხსენებულ წერილშიაც მას ამოუკითხავს ცნობილი ლოზუნგი „საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის", გაუკეთებია ის მოწინავე წერილის სათაურად*) და ცდილობს მის გაბათილებას, დარწმუნებული, რომ გვებრძვის ჩვენ. მაგრამ, ვფიქრობთ, თვითონაც გრძნობს, რომ მიზანში ვერ არტყამს. საქ. სოც. ფედერალისტთა პარტიას ოცი წლის ისტორია აქვს, მას კარგად იცნობს მტერ-მოყვარენი და ნაციონალისტობაზედ სიტყვებით თამაში ბოლოს და ბოლოს მოსაწყენიცაა სერიოზული მოკამათისათვის.

დიახ, ჩვენ საქართველო ქართველებისათვის გვინდა, მაგრამ არა მარტო ქართველებისათვის. ასეთია ჩვენი ნაციონალისტობა. ეს ცნობილია. მაგრამ ძალიან გვაინტერესებს: ვისთვის მუშაობთ უმთავრესად თქვენ, ქართველი ბოლშევიკები, და ვისთვის წარმოგიდგენიათ საქართველო? გვიპასუხეთ პირდაპირ და ნუ იკადრებთ სიტყვის ბანზედ აგდება', როცა ფაქტები ცხვირში გვცემს.

გაზეთი ვერ უარყოფს ამხ. თ. ღლონტის მიერ მოყვანილ ფაქტს, ვერც მისგან მოსალოდნელ საშიშროების და ამიტომ იწყებს სიტყვის ბანზედ აგდებით. ამიტომ დასჭირდა მას მოგონება დოდაშვილ-ორბელიანებისა, ქართველთა ტრადიციულ სტუმართ-მოყვარეობისა, „სამშობლო [illegible]" და სხვა მრავალის.

„საქართველო ისევეა მთელი მშრომელი კაცობრიობის, როგორც მთელი მსოფლიო არის მშრომელი ქართველისო", რიხიანად აცხადებს გაზ. „კომუნისტი" და, ალბად, დარწმუნებულია ამით ისეთ ბურუსს დააყენებს, რომ ეს საწყალი ქართველი მშრომელი ვეღარ გაარჩევს სინამდვილეს და ვერ დაინახავს, როგორ სარგებლობს ის დღეს მთელი მსოფლიოთი და როგორ სარგებლობენ საქართველოთი უცხოელები.

გაუგონიათ—ხალხი დიდი ბალღიაო—და რაებს არ უუბნებიან? მთელი მსოფლიო მშრომელი ქართველის არისო! რა უნდა ელაპარაკო ასეთ გაუსწორებელ უტოპისტებს? ჩამობრძანდით ერთი წუთით თქვენი უტოპიური ვარსკვლავიდან ცოდვილ დედა-მიწაზედ, მოიძრეთ ცხვირიდან წითელი სათვალეები და მაშინ დაინახავთ, რომ მშრომელ ქართველს ჯერ მსოფლიო არ დაუპყრია და მის მიწა-წყალს კი სხვები ეპატრონებიან.

*) იხ. „კომუნისტი" № 92.

გაზეთი გვასწავლის: ხშირია ისეთი მოვლენა, როცა ერთ სამრეწველო რაიონში ბევრი უმუშევრებია და მეორეში მუშა ხელის სიმცირე, მაშინ მუშათა მასები პირველიდან მეორეში გადადის. საბჭოთა რესპუბლიკებში ეს საქმე თვით სახელმწიფომ უნდა შეასრულოს, რომ მოახდინოს მოთხოვნა-მიწოდების რეგულიარიზაცია და მუშა ხელის სისწორედ აღრიცხვა-განაწილება.

ჩვენ ვიცით, რას უნდა აკეთებდეს სოციალისტური სახელმწიფოში მთავრობა. მაგრამ „კომუნისტმა“ უნდა გვიპასუხოს შემდეგ კითხვებზედ:

1. სოციალისტურია უკვე თუ არა საქართველო და მისი მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკები?

2. როდის და რა საქმისათვის გამოიწვია საქართველოს რევკომმა ამოდენა ლტოლვილები ქართლ-კახეთს რომ კალიასავით მოსდებია?

3. რომელი მრეწველობაა საქართველოში შეფერხებული მუშა ხელის სიმცირით?

გვიპასუხეთ ამ კითხვებზედ თუ თქვენ ეკონომიკას მართლა წინასწარ შემუშავებული და აწონილ-დაწონილი გეგმა უდევს საფუძვლად.

„თუ საქართველოს ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესებას და საბჭოთა ალმშენებლობას გარეშე ხალხი, მშრომელ შვილების შემოსვლა არ შველის და დახმარების ნაცვლად საქმეს ავნებს, ხელს უშლის და ვნებას, მაშინ მიღებულ იქნება ზომები თვით მუშა-გლეხური მთავრობისაგან, რომ ასეთ არევ დარევას რესპუბლიკაში ადგილი არ ჰქონდეს“, გვამშვიდებს გაზეთი.

ჩვენც ამ საანბანო ჭეშმარიტებაზე მოგახსენებდით, მაგრამ არა თუ იმით, არამედ გადაჭრით: ქართლ-კახეთის სოფლებში ამოდენა ლტოლვილების შემოსვლა არამც თუ ხელს უშლის და ვნებას, პირდაპირ ღალუპავს უქადის ჩვენ ეკონომიურ ცხოვრებას. დაამტკიცეთ წინაალმდეგი, დაამტკიცეთ, რომ საქართველოში გლეხებს ზედმეტი მიწები აქვთ და ამის დასამუშავებლად გამოწვეული უცხოელები და ჩვენც სათქმელი არაფერი გვექნება.

ნაციონალისტები მოითხოვენ, რომ საქართველოში არც ერთმა უცხოელმა არ მოხნას, არ დათესოს, არ იმუშაოს მის ქარხნებში და არ გაიკაროს საბჭოთა დაწესებულებებიო, ამბობს გაზეთი. ჩვენ კი უარს ვერ ვეტყვით უცხოელებს, თუ ზედმეტი სამუშაო გვაქვს და თვითონ ვერ ვერევითო.

არ ვიცი, რომელ ნაციონალისტებზე ლაპარაკობს გაზეთი. ჩვენ კი, სოც-ფედერალისტები, აი რას ვამბობთ და ვამტკიცებთ: ხვნა-თესვის დრო წავიდა, უკვე მკათათვე დგება და ვინც ეხლა საქართველოში შემოდის, ის მოდის არა ხვნა-თესვისათვის, არამედ „სამკალად“. და ვეკითხებით „კომუნისტს“: რად უნდა მომკას, ვისაც არ დაუთესია? ან დაგვიმტკიცეთ, რომ ჩვენ მომკალი არა გვყავს, ან არ გვყოფნის და ამიტომ, წინასწარ შემუშავებული გეგმით, სათანადო ორგანოს მიერ გამოწვეულია მეზობელ სახელმწიფოდან საჭირო რიცხვი მუშებისა.

თუ ჩვენ სამუშაო გვაქვს და მუშები არ გვყავს, ამ შემთხვევაში არამც თუ უარს არ ვეტყვით უცხოელს, პირ იქით, შევეხვეწებით, მოვიწვევთ და განსაკუთრებულ პირობებსაც არ დავერიდებით.

ამრიგად ჩვენ წინაალმდეგი ვართ, რომ უცხოელები დაეპატრონონ საქართველოს მიწა-წყალს, როცა ქართველ გლეხებს მიწა არ ყოფნით და ორი-სამი თვის საყოფი პურიც ვერ მოჰყავთ.

ჩვენ წინაალმდეგი ვართ ქართველი მუშა მოსამსახურის დათხოვის, ჩამოქვეითების და მის ადგილზე უცხოელის მოწვევის.

ჩვენ წინაალმდეგი ვართ დამშეულ საქართველოში ლტოლვილთა შემოშვების.

რა შუაშია აქ ნაციონალისტური პოლიტიკა? ჩვენ ვზრუნავთ ლუკმა პურზედ, დღიურ საზრდოზედ, ხალხის ფიზიკურ არსებობაზედ.

დღეში ნახევარი გირვანქა მჭადი ვერ მიგვიცია მუშა მოსამსახურეებისათვის და ვეუბნებით: მთელი მსოფლიო შენიაო.

საქართველოს დასცალეს სპეკულიანტებმა საქონლისაგან; ეხლა ლტოლვილები დამშეულ ხალხს პირიდან ლუკმას აცლიან და ყოველივე ამის წინაალმდეგ, არამც თუ საჭირო ზომების მიღებას ვერ მოითხოვს „კომუნისტი“, პირდაპირ საგანზედაც ვერ ბედავს ლაპარაკს და სიტყვას ბანზედ აგდებს: ეშინიან ნაციონალისტობა არ დასწამონ. სანამ ამ შიშისაგან არ განთავისუფლდებიან კომუნისტები, მანამ ისინი სინამდვილეს თავის სახელს ვერ უწოდებენ და ვერც შესაფერ პასუხს გასცემენ.

ომეგა.

## ლტოლვილების შესახებ

ჩვენი ცხოვრება ისე შეტრიალდა, რომ ყველა „წყეულ კითხვის“ რომელთათვის ბრძოლას მოვანდომეთ წელთა საკმაო რიცხვი კვლავ დასმულია. გადახედეთ ჩვენს პრესას, რა საკითხების გარშემო სწარმოებს ბრძოლა: ეროვნული საკითხი. ვერ იქნა და ვერ მოიხსნა ეს კითხვა დღიურ წესრიგიდან. და თუ საქართველოს დამოუკიდებლობის სამი წლის განმავლობაში ეს კითხვა თითქოს მინელდა, დღეს კვლავ დიდდება ამ კითხვის გარშემო ქართველი ერის ინტელექტუალური თუ ფიზიკური ენერგია. კურიოზი კი არის. საქართველოს ახალმა მართველებმა საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ დამოუკიდებლობის ნიადაგზე ვდგევართო, აღიარებული დაპირებანია გაცემული, მაგრამ ფაქტიურად ვერ ვხედავთ ამ დეკლარაციების რეალიზაციას. ქართული ანდაზა არის: ისეთი სახლი ააშენე, რომ შიგ დგომა შეგეძლოსო.

ამისათვის მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე უკანასკნელი ცნობები, რომ ლტოლვილებს უნდა მიეცეთ მიწები დასასახლებლადო. თუ ამ გზით ვიარეთ, სულ მოკლე ხანში ცნება ხაქართველოდან დარჩება მხოლოდ ლინგვისტიკის მასალა.

მოქალაქენო! ეს საკითხი არც ისეთი იოლად გადასაწყვეტია, როგორც „კომუნისტს“ ჰგონია. საქართველო კალუგის და სარატოვის გუბერნიები კი არ არის, რომ სივრცის უსაზღვრო რამ მოგვრათ თვალი. ასეც რომ იყოს შეუძლებელია ავჰყვეთ ისედაც ძველი რომაელთა მიერ აპრობირებული ჩვენი ქვეყნის მცირე ნაჭერი. იმ სივიწროვის დროს, რომელიც ახრჩობს ჩვენს მიწის მუშას, არ შეგვიძლია ეს მცირე ნაჭერიც სხვას გადავუშალოთ.

როდესაც კომუნისტებს ანტიეროვნულობას უკიჟინებენ, კომუნისტები ბრაზობენ და სცდილობენ დაამტკიცონ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ნამდვილად იცავენ, და დაიცავენ კიდეც. მაგრამ განა შეიძლება ერის წარმატება იმ ნივთიერ და სულიერ პირობების გარეშე, რომელნიც ერის განუყრელი ატრიბუტები არის? ჩვენი ქვეყნის უმრავლესობის აღორძინებისათვის ნივთიერი ფერმენტია საჭირო, და ეს კი მიწაა, რომლის სიმცირის გამო საქართველოს ბევრი ნაწილი პირდაპირ უკიდურეს გაჭირვებაშია ჩავარდნილი. და ამ პირობებში უცხო ხალხისთვის ახალშენების შექმნა საქართველოს ტერიტორიაზე პირდაპირ შეუძლებელია. ჩვენ გვესმოდა როცა ამას რუსიფიკატორები სჩადიოდნენ მეფურ რეჟიმის დროს. ვიცოდით რა ძალაც ამოქმედებდათ იმ შავ ხალხს, რომელნიც ტირიფონის ველზე პოლიგონების მოწყობას აპირებდა, რომელნიც კახეთის გულში ივანოვკა, ალექსანდროვკებს და სხ. აშენებდნენ მაგრამ არ გვესმის ასეთივე ახალშენების შექმნა დღესაც თუნდაც ყველაფერი კომუნიზმის და სოციალიზმის სახელით გაკეთდეს. ხომ უნდა იყვეს რაღაც მომენტი, რომ ძველისა და ახალის გარჩევა შეს ძლებელი გახდეს. სად არის ის მომენტი?

დარწმუნებული უნდა იყვეთ, რომ არასასურველ ლოზუნგს ასეთ პოლიტიკით საზრდოს მისცემთ. ჩვენ ის რომ კი არ გვინდათ საქართველო მხოლოდ ქართველების საპინდროდ ვაქციოთ. არა. საქართველო ქართველებისთვის კი არა, საქართველო საქართველო თვისი—ეს არის ჩვენი ვიზანი, და ამ მიზნის გარშემო არის შემოკრებილი მთლად საქართველო, და ვერავითარი სხვა პოლიტიკა ვერ მოიმაგრებს ფეხს ჩვენს ქვეყანაში. გაუსვით ხაზი, რომ ყოველ ლტოლვილის საქართველოში დასახლება იქნება იმ ეროვნულ შუღლი დათესვა, რომელიც დღევანდელ პირობებში ადვილად ჩხარობს, და მალე მოსამკელად მიიღებთ „ინტერნაციონალის“ ყვავილებს კი არა, ეროვნულ ანტაგონიზმის ეკლებს.

ჩვენი რესპუბლიკისათვის საჭიროა შემდეგი: „საქართველოთი ქართველ ხალხის დაკმაყოფილება“. საქართველოს ძალა საქართველოში უნდა იყოს უმთავრესად ქართველი ხალხი და ქართველობის სამსახური მთავრობისათვის უნდა შეადგენდეს არსებობის უმთავრეს პირობას.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

## „საქართველო ქართველებს“

ქართველი ხალხის სტუმართ-მოყვარეობის ტრადიციიდან გამოსვლით ისეთი დიდ პრობლემის გადაჭრა, როგორიცაა საკითხი უცხო ელემენტების—ლტოლვილების საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებისა, ჩვენის აზრით ყოვლად შეუძლებელი. „სტუმართ-მოყვარეობა“ ფეოდალური საქართველოს თვისება იყო. ქართველ პროლეტარიატსა და გლეხობას არ შეუძლია ისე გულუხვად დაარიგოს თავისი მიწა წყალი, როგორც ამას თავადაზნაურობა სჩადიოდა, რადგან მინის ფასი მხოლოდ იმან იცის, ვინც მასზე მუშაობს.

ჩვენ კარგად გვახსოვს თუ რა დიდი ზიანი მოუტანა ასეთმა „სტუმართ მოყვარეობამ“ პოლონეთს. ბისმარკის „სტუმართ-მოყვარე“ პოლიტიკის წყალობით პოლონეთმა მთელი სილეზია და ლამის პოზნანი დაჰკარგეს. საქართველოს თავადაზნაურობის „სტუმართ-მოყვარეობის“ წყალობით ჩვენი ტერიტორია ხელოვნურად დაჰქვეითდა დაშკლევებმა.

სიტყვა მშრომელი ნაწილი ჩვენთვის ფუტიში არ უნდა იყოს. ჩვენ რომ ჩვენი ტერიტორიის კარები გავაღოთ და მთელი ქვეყნის ლტოლვილები შემოვუშვათ მაშინ ჩვენ ქვეყანას სასტუმროდ გადავაქცევთ.

არა, ჩვენ არ გვინდა საქართველო ასეთი სასტუმრო იყოს, სადაც ყოველ გამვლელ გამომვლელს შეეძლება მოსძოვოს და გაიაროს. ან თუ მოეწონება აქ დარჩეს. ასეთი პოლიტიკა არაა სახელმწიფო პოლიტიკა. ამ გზით ჩვენ სოციალიზმამდისაც ვერ მივაღწევთ.

მეპრეხხე.

## კომინტერნის III-ე კონგრესი

მოსკოვი. 24 ივნისი (რადიო). 2 სხდომა კომინტერნის მესამე კონგრესისა შესდგა 23 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში. იქმნა არჩეული სეკრეტარიატი 15 დიდი კომუნისტური პარტიებისაგან, დამტკიცებულ იქმნა დღიური წესრიგი, რის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ტროცკი.

ამხ. ტროცკის მოხსენება.

ამხ. ტროცკის მოხსენება შეეხება მსოფლიოს თანამედროვე ეკონომიურ ვითარებას და კომინტერნის მომავალ მიზნებს. ამხ. ტროცკი ლაპარაკობს გერმანულ ენაზე სთარგმნიან მის სიტყვას ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

ბურჟუაზია გადაჭარბებულად აფასებს თავის მიზნებს მიუხედავად იმისა, რომ კომუნიზმი დაქსაქსულ ჯგუფებიდან უძლიერეს ძალად გადაიქცა მთელს მსოფლიოში, ბურჟუაზია დღეს უფრო ნაკლებ პანიკას განიცდის, ვიდრე ეს იყო 1920 წელში. ამით აიხსნება სოციალ-დემოკრატებისა და დამოუკიდებლების წასვლა, ან გაძევება მთავრობებიდან. ამითვე აიხსნება უკანონო კავშირი ამსტერდამის პროფკავშირების ინტერნაციონალისა და 2 ნახევარ ინტერნაციონალის შორის. კლასიური დამსხვრევა ან კაპიტალიზმის აღორძინება.

ამხ. ტროცკიმ გადაშალა მთელი სურათი ისტორიაში ჯერ არ ყოფილი ომის შემდეგ მომხდარი რევოლიუციური მოძრაობისა: გაფიცვები ინგლისში, რუსეთში პროლეტარიატისაგან ძალაუფლების ხელში ჩაგდება, გერმანიის მონარქიის დაცემა, სამოქალაქო ომი უნგრეთში, მშფოთვარე გაფიცვები შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში პოლიტიკური ატმოსფერის დამძიმება 1920 წლის მაისში, იტალიის პროლეტარიატის მოძრაობა ფაბრიკა-ქარხნების ხელჩასაგდებად და ჩეხიის პროლეტარიატის მასიური პოლიტიკური გაფიცვები. ამ წელში მოხდა აჯანყება შუა გერმანიის მუშათა კლასისა, გიგანტიური გაფიცვები ინგლისურ სამთო მადნოებში მომუშავეთა და საერთო გაფიცვა ნორვეგიაში. მუშათა კლასის წინ სდგას საკითხი: რას მოგვიტანს ახლო მომავალი (დამახინჯებულია)... პოლიტიკურ რყევას და კლასიურ ბრძოლას მოველით, თუ დადგება კაპიტალიზმის აღორძინების დრო?

ევროპის მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნების დანგრევა.

ტროცკის მოყავს მთელი რიგი ციფრებისა იმის დასამტკიცებლად, რომ მეურნეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში საშინელ კრიზისს განიცდის. წარსულ წელს ევროპაში მოსავალი 720 მილ. ნაკლები იყო, ვიდრე ომამდის. სამაგიეროთ ამერიკას აღმოაჩნდა ევროპის ანგარიშზე ზედმეტი საქონელი. ევროპას მცხოვრებნი გაიზარდენ ომის განმავლობაში 30 მილიონით, პური კი 720 მილიონი ფუთით შემცირდა.

ამრიგათ კაცობრიობა გაღარიბდა. რკინისა და ნახშირის და აგრეთვე სხვა მრეწველობისათვის ძირითად დარგების დამუშავება ძლიერ დაეცა. ომმა მოსპო ომში მონაწილე სახელმწიფოების ნახევარზე მეტი ნაციონალური სიმდიდრე. სამაგიეროთ არა ჩვეულებრივ გაიზარდა ქაღალდის ფულის ტირაჟი: ომამდის 28 მილიარდი იყო ტირაჟში მსოფლიო ბაზარზედ, დღეს კი—300 მილიარდი მუშაობს, ბაზრის ქაღალდის ფულით გავსებასთან ერთად ცვდებოდა ინვენტარი და სამანქანო აღმშენებლობა, რომელიც მთელის მსოფლიოში საშინლად დაეცა.

გერმანიის გაკოტრება.

გერმანიაში 11,3 მილ. შრომის უნარის მქონეთა მაგიერ ომამდის, დღეს ასეთი უნარის მქონეა მხოლოდ 4,8 მილ. ომამდის გერმანიაში მოსავალი იყო 15 მილ. ფუთი, ხოლო 1920 წელს მხოლოდ 5,2 მილ. ფუთი. გერმანიის სახელმწიფო ვალი ავიდა 250 მილიარდამდის ოქროთ, ყოველ წლიური ნაციონალური შემოსავალი დაეცა 60 პროცენ. გერმანიის მდგომარეობა დახასიათდება სახელმწიფოს გაკოტრებით.

საფრანგეთი პარაზიტია ევროპის და მთელი ქვეყნის.

საფრანგეთში დღეს ოთხჯერ საქონელი ნაკლებია 5 მილიონი სულით, ვიდრე ომამდის იყო. ხორბალი (დამახინჯებულია) . . . მილ. ფუთამდის შემცირდა, ხახვიი ნაკლებია 96 მილიონამდის. ფოლადის ჩამოსხმა შემცირდა ნახევარზე უფრო მეტად.

შემოტანის 37 მილიარდის ფრანკით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საფრანგეთის კაპიტალმა გვიჩვენა, რომ საქონლის შემოტანა მეტია 37 მილიარდი ფრანკით, ვიდრე გატანა. ყოველწლიური ბიუჯეტი საფრანგეთისა გვიჩვენებს 5.5 მილიარდი ფრანკის დაკლებას. საფრანგეთის სძლებს მხოლოდ გერმანიისა და კოლონიათა ხარჯზე.

ინგლისი ჰკარგავს მსოფლიო მნიშვნელობას.

ძალიან დიდი ფასი დაუჯდა (დამახინჯებულია)... ინგლისს მხოლოდ მოკლე დროით სოფლის მეურნეობის გაუმჯობესობა. ნახშირის წარმოება, რომელიც არის მთელი ინგლისის სახალხო მეურნეობის საფუძველი, დაეცა შვიდი წლის ომის განმავლობაში 20 პროც. ასევე დაეცა ფოლადის ჩამოსხმის მოწველობა. გატანა ნახშირისა ამ წლიწადში შეადგენს ერთ მეექვსედ ომამდის გატანილ ნახშირისა. სახელმწიფო ვალი ინგლისისა გაიზარდა 11 ჯერ გირვანქა სტერლინგებით; სტერლინგის ხსენება იწვევდა წარმოდგენას ინგლისის ვალიუტების ბატონობისას მთელს მსოფლიოში, დღეს კი ამერიკული დოლარის მეოხებით წაერთვა თავისი სიდიადის არეოლი.

(გაგრძელება იქნება).

## ახალი ამბავი

— შვეიცარიელ ქვეშევრდომთა მიწები. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ განიხილა რა შვეიცარიელ ქვეშევრდომთა მოქმედობის კავშირის შუამდგომლობა, რომ გადაესინჯათ საკითხი შვეიცარიელ ქვეშევრდომთათვის კონფისკაციით ჩამორთმეულ მიწების დაბრუნებისა და აგრეთვე გაწეულ ზარალის ანაზღაურების შესახებ დაადგინა, უარი თქვას კავშირის თხოვნას ვინაიდან ს. ს. ს. რ. მიწის კანონი ერთნაირად ეხება უცხო ქვეშევრდომებსაც.

— ქართული დრამა. დღეს 28 ივნისს ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება აკაკის 5 მოქმედებიანი დრამა „პატარა კახი“ მონაწილეობს მთელი დასი. ბილეთები იყიდება.

— სახელმწიფოში საერთო მეურნეობის და კერძოდ შვეიცარიულ ყველის დამზადების წარმოებისადმი ხელის შესაწყობად სასურველად ცნობილია მთხოვნელებს საძოვარი და სათიბი ადგილები იჯარის სახით განსაზღვრულ ვადით—პროპორციონალურად იმისა თუ ვის რამდენი მეწველი საქონელი ჰყავს“.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.


**დაიკარგა** სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო წიგნაკი მპოვნელს უმორჩილესად ვთხოვ დამიბრუნოს და მიიღებს ჯილდოს 10,000 მან. მისამართი საქართველოს სახელმწიფო ბანკი (ლორის-მელიქოვის ქუჩა) კარპე გიორგის ძე ჰარაქაძე. 1081

**საქციზო სამმართველო**

ამით აცხადებს, რომ ლუდის სარდაფის მეპატრონეს ალექსანდრე და ლიმან არაქელოვებს პლეხანოვის პრ. № 75 მე 9 უბანში დაუკარგავს ლუდის შედენის ნებართვა № 71 მიცემული საქციზო სამმართველოს მიერ 1921 წ. რომელიც დღეიდან ითვლება გაუქმებულად. 108

**განცხადება**

**დაიკარგა** პასპორტი ზინაიდა თევდორეს ასულ სუნდაძესი ჩათვალოს გაუქმებულად. 108

ქ. ლანჩხუთში.

ექიმი

**ოლღა ხოფერია**

იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს.
კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

ქბილის ექიმი

**აპოლონ ურუშაძე**

განახლდა ავადმყოფების მიღება 9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურად ხიფილისი (914 და 606), სქესობრივი უძლურობა, ვენერიულ ხუხუნათა და შარდისა.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ბეითალი—ექიმი

**ი. გ. ქუთათელაძე**

იღებს აიბაგეს, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეხაპუნებით. ქაით ცოფიან სასუნმილას ავათმყოფობა ვექიმობ „ნეიმანის და ვესელის“ მეთოდებით ვებრძვი დარიგებას „ზოოტეხნია“ (საქონლის ძოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელი... 2. 38

უოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და ყოფილი მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე

**ამზადებს**

**საზაფხულო განმეორებით გამოცდებზე:**

მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე.

მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 3—6 ს. 1081